

**„ქალებზე, მშვიდობასა და
უსაფრთხოებაზე ეროვნული
სამოქმედო გეგმის“
(2018-2020)**

**შესრულების შუალედური
ანგარიში:
მიზნები და რეკომენდაციები**

**დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული
ქალების და გოგონების უფლებრივი მდგომარეობა**

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალებისა და გოგოების ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

შინაარსი

შესავალი	2
1. მეთოდოლოგია	2
2. ძირითადი მიგნებები	3
2.1 ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე უსაფრთხოების სექტორსა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში	3
2.2 დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების გაზრდილი მონაწილეობა კონფლიქტების პრევენციასა და გადაჭრაში	3
2.3 ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაცია	4
2.4 ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების პრევენცია	4
2.5 სექსუალური და სხვა გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია	4
2.6 უსაფრთხოების სექტორში დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება	5
2.7 საჯარო სერვისებზე წვდომა	5
2.8 ფსიქოლოგიური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა	6
2.9 დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების განათლება	6
2.10 ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერება	7
2.11 კულტურულ და სპორტულ პროგრამებზე წვდომა და ჩართულობა	7
3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების შესრულების შეფასება	8
4. რეკომენდაციები	16

შესავალი

2018 წელს საქართველოს მთავრობამ „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე რიგით მესამე - 2018/20 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.¹ ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე საერთაშორისო პრინციპების ეროვნულ დონეზე განხორციელებას და ამ მიმართულებით ქვეყანაში დღის წესრიგის ჩამოყალიბებას.

საქართველოში, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების უფლებრივი მდგომარეობა კვლავ გამომწვევად რჩება, ისევე როგორც ქალთა თანაბარი მონაწილეობა მშვიდობის, უსაფრთხოებისა და შერიგების მიმართულებით მიმდინარე პროცესებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების დროულ და ეფექტიან განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს სახალხო დამცველმა, მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, 2019 წელს განახორციელა აღნიშნული ეროვნული სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგი. მონიტორინგის მიზანი იყო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებისა და მიღწეული შედეგების შეფასება, არსებული ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა.

ვიმედოვნებთ, რომ შუალედური მონიტორინგის მიგნებები და შემუშავებული რეკომენდაციები ეროვნული სამოქმედო გეგმის განმახორციელებელ და მაკოორდინირებელ უწყებებს შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვასა და შესრულებაში დაეხმარება.

1. მეთოდოლოგია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წლის მაისი-ივლისის პერიოდში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური მონიტორინგის ფარგლებში, შეაფასა უწყებების მიერ შესრულებული აქტივობები და მათი გავლენა სამიზნე ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობაზე.

მონიტორინგის **პირველ ეტაპზე** წერილობითი ინფორმაცია გამოვითხოვეთ ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებებიდან და მუნიციპალიტეტებიდან.

მეორე ეტაპი ითვალისწინებდა სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლებთან შეხვედრებს და ჩა-

ღრმავებულ ინტერვიუებს. გაიმართა შეხვედრები თვითმმართველ ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დევნილთა კომპაქტურ დასახლებებსა და ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში. სულ, მონიტორინგის ფარგლებში ჩატარდა 31 შეხვედრა.

მონიტორინგის **მესამე ეტაპზე** გაანალიზდა და დამუშავდა უწყებების მიერ მოწოდებული და საინფორმაციო შეხვედრებზე მიღებული ინფორმაცია, მომზადდა გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში და შემუშავდა თანმდევი რეკომენდაციები.

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №173; 2018 წლის 10 აპრილი; ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

2. ძირითადი მიზნები

2.1 ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე უსაფრთხოების სექტორსა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში

საანგარიშო პერიოდში, თავდაცვის სამინისტროში სექსის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემის შემუშავება, გენდერული მენისტრიმინგის მიმართულებით გადამდგმულ პოზიტიურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. მსგავსი სისტემა არ შემუშავებულა შინაგან საქმეთა სამინისტროში, რაც ამ უწყების გენდერულად თანასწორი საკადრო პოლიტიკის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია.²

შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის პრო-


ცენტული მაჩვენებელი გაზრდილია,³ მონაცემი მაინც კრიტიკულად დაბალია და მხოლოდ 8%-ს შეადგენს.⁴ ამასთან, წინ გადამდგმული ნაბიჯების მიუხედავად, საბაზისო ინდიკატორთან მიმართებით, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.⁵ ასევე, შემცირებულია სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა წარმომადგენლობა.⁶ დაბალია ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის ინიციატივების მაჩვენებელიც.⁷

2.2 დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების მონაწილეობა კონფლიქტების პრევენციასა და გადაჭრაში

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიის,⁸ რეგულარული დიალოგის მექანიზმის შესაქმნელად, რაიმე აქტიუობა/ლონისძიება არ განხორციელებია.⁹

ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, მათ შორის, კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობასთან გამართული შეხვედრების შედეგები, ცალსახად აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტებში გამართულ შეხვედრებსა თუ სოფლის კრებებში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები ნაკლებად მონაწილეობენ. შედეგად, მუნიციპალიტეტებში გადაწყვეტილების მიმღები პირები კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების

ცხრილი N1.



- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი №MOD 0 19 00570950; 06.06.2019; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი №MIA 6 19 01128991; 03.05.2019.
- იხილეთ ცხრილი N1
- ბაზისი: თავდაცვის სამინისტრო - 32%, 2019 წლის მდგომარეობით - 35.1%; შინაგან საქმეთა სამინისტრო - 3%, 2019 წლის მდგომარეობით - 8%.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი №MOD 0 19 00570950; 06.06.2019; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი №MIA 6 19 01128991; 03.05.2019.
- აღნიშნული მონაცემი დამოკიდებულია კონკრეტულ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა სქესზე.
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი №949; 07.05.2019.
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისია შეიქმნა 2013 წლის 4 ოქტომბერს, N257 დადგენილების საფუძველზე. დეტალური ინფორმაცია მისაწვდომია ონლაინ ვებგვერდზე: <https://bit.ly/3bHbAtn> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 27 აპრილს]
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი №01/2910; 14.06.2019.

სპეციფიკურ საჭიროებებს არ გამოავლენენ და არც პრობლემებს შეისწავლიან, შესაბამისად, ქალთა წარმომადგენლობა მოკლებულია შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტის მოგვარებასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში.¹⁰

2.3 ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაცია

ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაციის პროცესს დადებითი შედეგები აქვს იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებიც შერჩეული არიან „გაეროს ქალთა ორგანიზაციის“ (UN Women) მიერ კოორდინირებულ ლოკალიზაციის პროცესში. კერძოდ, უფრო მაღალია ცნობიერება და მზაობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის განსახორციელებელი აქტივობების მიმართულებით,¹¹ თუმცა, მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტების მუშაობა ძირითადად დამოკიდებულია დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობაზე. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტებს კვლავ უჭირთ ქალებისა და გოგონების განსაკუთრებული როლისა და საჭიროებების დანახვა, რის გამოც, მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებისაკენ მიმართული კონკრეტული აქტივობა საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.¹²

2.4 ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების პრევენცია

დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების ადამიანური უსაფრთხოების გაზრდის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების

მიუხედავად, რაიმე ღონისძიება არ გატარებულა, მათ შორის, არ შემუშავებულა გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტები.¹³

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმის სხვადასხვა საქმიანობაში არაერთხელ გვხვდება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებების შესწავლა, რაც პასუხისმგებელ უწყებებს შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა/განხორციელებაში დაეხმარებოდა, თუმცა ამგვარი აქტივობა არ განხორციელებულა.¹⁴

2.5 სექსუალური და სხვა გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია

გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიერ გამართული საინფორმაციო შეხვედრების მიუხედავად, კვლავ დაბალია ინფორმირებულობის დონე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სახელმწიფო სერვისების შესახებ; ასევე, არ არის შექმნილი კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის კონცეფცია.

დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების¹⁵ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ როგორც დევნილთა დასახლებებში, ისე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, კვლავ სტერეოტიპული დამოკიდებულებაა ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. მოწოდებული ინფორმაციით, დაბალია ამ კუთხით ცნობიერება და სამართალდამცავი უწყებებისადმი მიმართვის სიხშირე.¹⁶ ამასთან, შეხვედრების დროს, დაბალი მიმართვიანობის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად სამარ-

10. შეხვედრები კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს მუნიციპალიტეტებში 2019 წლის მაისი-ივნისის პერიოდში.

11. ლოკალიზაციის პროცესში შერჩეული მუნიციპალიტეტები: დუშეთი, გორი, ქარელი, კასპი, ხაშური, საჩხერე, სტეფანწმინდა, წალენჯიხა, წყალტუბო; ზუგდიდი.

12. შეხვედრები კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს მუნიციპალიტეტებში 2019 წლის მაისი-ივნისის პერიოდში.

13. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი N2MIA 6 19 01424848; 03.06.2019.

14. „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის საქმიანობა 3.1.3.

15. შეხვედრები გაიმართა შემდეგ რეგიონებში: მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო.

16. შეხვედრა გურჯაანის დევნილთა დასახლებაში 28.06.2019; შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტში მერიის წარმომადგენლებთან 31.05.2019; შეხვედრა გარდაბანში დევნილ ქალებთან 03.07.2019; შეხვედრა მარნეულში, სოფელ შაუმთან, დევნილ ქალებთან 04.07.2019; შეხვედრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეში 25.06.2019; შეხვედრა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფელ ხაბუმეში, 27.06.2019.

თაღდამცავი უწყების წარმომადგენლების მხრიდან შესაძლო არასათანადო რეაგირება,¹⁷ გულგრილობა და არასერიოზული დამოკიდებულება დასახელდა.¹⁸

2.6 უსაფრთხოების სექტორში დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება

დადებითად უნდა აღინიშნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების/ძალადობისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით თანამშრომლების გადამზადება.¹⁹ ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 45 ქალი და 70 კაცი თანამშრომელი გადამზადდა.²⁰

დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აქტივობები, რომლებიც გულისხმობს უწყებაში სავალდებულო ტრენინგებს, რეზოლუცია №1325-ის საკითხებზე, მათ შორის, სექსუალურ შევიწროებასა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე.²¹

კვლავ დღის წესრიგში რჩება აღნიშნულ უწყებებში განსახორციელებელი ტრენინგების/სწავლების შეფასების მეთოდოლოგიის დაგეგმვა და შესრულება.

2.7 საჯარო სერვისებზე წვდომა

მონიტორინგის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონებისთვის უფასო იურიდიული მომსახურების სისტემის არსებობა და მისაწვდომობა წლიდან წლამდე უმჯობესდება.²²

ცხრილი N2. იურიდიული დახმარება/კონსულტაცია

კაცი	701	633
ქალი	779	881
2018 წელს დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაში განეული იურიდიული დახმარება/კონსულტაცია 2019 წელს დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაში განეული იურიდიული დახმარება/კონსულტაცია		

რაც შეეხება ჯანდაცვის მიმართულებას, რეგიონების ამბულატორიებში, ამ მხრივ, არასახარბიელო სიტუაციაა. კერძოდ, არ არის მისაწვდომი სამედიცინო აპარატურა, მედიკამენტები და, ხშირ შემთხვევაში, ექიმის კონსულტაციაც კი.²³ განსაკუთრებით ყურადსაღებია

ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები,²⁴ სადაც ძირითადად ხანდაზმული მოსახლეობა ცხოვრობს. ამ პირებისთვის როგორც მედიკამენტების შეძენა, ისე ექიმთან ვიზიტი, ძალიან გართულებულია.

17. შეხვედრა გარდაბანში 03.07.2019.

18. შეხვედრა ზუგდიდში არასამთავრობო ორგანიზაციებთან 24.06.2019; შეხვედრა გარდაბანში 03.07.2019; შეხვედრა ხობში დევნილ ქალებთან 15.07.2019.

19. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი №MIA 6 19 0112899; 03.05.2019. გადამზადდა 20 თანამშრომელი.

20. საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/35449; 17.05.2019.

21. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი №MOD 0 19 00570950; 06.06.2019.

22. ბაზისი: 2017 წელს იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება გაენია 1276 დევნილს - საერთო კონსულტაციების და საქმეების 5%. ქალი - 676 კაცი, 600 ქალი. მიზანი: 2020 წლისათვის მაჩვენებლის ზრდა 10%-ით (ქალი 6%; კაცი 4%)

23. შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტში, ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელი ზარდიაანთკარი 09.07.2019; სოფელში არ არის ამბულატორია. ასევე არ არის ხელმისაწვდომი სამშობიარო. გინეკოლოგიური სერვისის მიღება მხოლოდ ქალაქ გორშია შესაძლებელი, რაც ასევე ტრანსპორტირების პრობლემასთან არის დაკავშირებული. ხაშურის მუნიციპალიტეტში, ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელი ჩორჩანა 09.07.2019. მოწოდებული ინფორმაციით, ამბულატორიაში ექიმი კვირაში ერთხელ მიდის, რომელსაც არ აქვს პირველადი დახმარების ნამულები.. ამბულატორია არ არის სამედიცინო აპარატურით სათანადოდ აღჭურვილი. ასევე არ არის ხელმისაწვდომი პედიატრი. პრობლემურია სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახების შემთხვევაში მათი ადგილზე დროული მისვლა.

24. შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელი ყარაფილა 31.05.2019; შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტში, ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელი ზარდიაანთკარი 09.07.2019.

ხანდაზმული ადამიანებისთვის ასევე დიდ ბარიერს წარმოადგენს საბანკო სერვისებზე წვდომა და პენსიის ადგილზე მიღება, ვინაიდან ბანკის მობილური მანქანები, რომლებიც ადგილზე აწვდიან მოსახლეობას სერვისს, არ დადიან ისეთ სოფლებში, სადაც მოუწესრიგებული გზებია.²⁵

კვლავ პრობლემურია გენდერული თანასწორობის, მათ შორის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების, შესახებ ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

2.8 ფსიქოლოგიური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა

ქვეყანაში არ არსებობს სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასა და, საჭიროების შემთხვევაში, საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფას, რაც არაერთი სამოქმედო გეგმით იყო გათვალისწინებული.

პრობლემურია წვდომა სამშობიარო სერვისებზე, რაც ქალის სექსუალური და რეპროდუქციული


ჯანმრთელობის ერთ-ერთი უფლებაა. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის ასევე პრობლემურია წვდომა ოჯახის დაგეგმვის სერვისებსა და კონტრაცეპციის მეთოდების შესახებ ინფორმაციაზე.

საგანგაშოა სამეგრელოს რეგიონში აბორტის შესახებ გავრცელებული მცდარი აზრი, როგორც მოსახლეობაში, ისე უწყების წარმომადგენლებში. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აბორტი საქართველოში, კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერ ვადაზე აკრძალულია (აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს), რაც თავისთავად ზღუდავს²⁶ რეგიონში აბორტის სერვისზე წვდომას.

2.9 დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების განათლება

დადებითად უნდა აღინიშნოს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პრაქტიკა.²⁷ მიუხედავად ამისა, ტრანსპორტირების საფასური, განათლებაზე წვდომის კუთხით, დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოებისთვის კვლავ პრობლემად რჩება.

ცხრილი N3. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსება




25. შეხვედრა ხაშურის მუნიციპალიტეტში, ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელი ჩორჩანა 09.07.2019.

26. შეხვედრები სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დევნილი და ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლად მცხოვრებ ქალებთან და გენდერის საბჭოს წარმომადგენლებთან (ზუგდიდი, რიყე, რუხი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხაბუშე, მარტვილი, სენაკი, ხობი) 24-27.06.2019.

27. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი 10.05.2019. MES 1 19 00548870.

ცხრილი N4. სოციალური პროგრამის ფარგლებში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსება



2.10 ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერება

გამოწვევად რჩება ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება მათ უფლებრივ მდგომარეობაზე. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხულ ქალთა სრული უმრავლესობა დიასახლისია, მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა სოციალური შემწეობა და პენსია. რიგ შემთხვევებში, ქალები, ოჯახში აღებული ვალდებულებების გამო, ვერ ახერხებენ სამსახურებრივ აქტივობებში, სემინარებსა თუ ტრენინგებზე დასწრებას.²⁸

მიუხედავად იმისა, რომ დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები და გოგონები ფლობენ ინფორმაციას პროფესიული გადამზადების კურსების შესახებ,²⁹ პრობლემურია ამ კურსებით სარგებლობა, რადგან სასწავლებლები განლაგებულია დიდ ქალაქებში, რაც ტრანსპორტისა და სხვა დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.³⁰

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამართული საინფორმაციო შეხვედრების მიუხედავად, სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებში ჩართული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების რაოდენობა დაბალია.³¹ მნიშვნელოვანია, მოსახლეობას წინასწარ მიეწოდოს ინფორმაცია ამ შეხვედრების შესახებ, რათა ქალები დაინტერესდნენ და შეძლონ მობილიზება შეხვედრებზე დასასწრებად.

2.11 კულტურულ და სპორტულ პროგრამებზე წვდომა და ჩართულობა

უწყებების მხრიდან განხორციელებული აქტივობების მიუხედავად, მწირია საგანმანათლებლო-შემეცნებით პროგრამებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების ჩართულობა.³²

28. შეხვედრები გაიმართა შემდეგ რეგიონებში: მცხეთა-მთიანეთი; შიდა ქართლი; ქვემო ქართლი; კახეთი; იმერეთი; სამეგრელო.
 29. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი 10.05.2019. MES 1 19 00548870; 2018 წელს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 522 დევნილი, საიდანაც 206 არის ქალი. ამავე დაწესებულებებში 2017 წელს ჩაირიცხა 752 დევნილი, საიდანაც 313 არის ქალი, ხოლო 2016 წელს ჩაირიცხა 872 დევნილი, საიდანაც 486 არის ქალი.
 30. შეხვედრა ჩორჩანაში 08.07.2019; შეხვედრა დევნილ ქალებთან, ბაზალეთზე 14.06.2019.
 31. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი №08/3232; 10.05.2019.
 32. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი №MES 1 19 00548870; 10.05.2019.

3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების შესრულების შეფასება

ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	შესრულება 2019 წლის მაისი-ივნისის მდგომარეობით
1.1.ა: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით ბაზისი: თავდაცვის სამინისტრო - რიგი დოკუმენტები გენდერულად მგრძნობიარეა; შინაგან საქმეთა სამინისტრო - არ აქვს მიზანი: გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტების არსებობა	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	100%-ით შესრულდა. ³³ შეიქმნა ადამიანური რესურსების დეპარტამენტი, რომელიც სამინისტროში გენდერული კუთხით აფასებს, ხელს უწყობს და აწარმოებს სეგრეგირებულ სტატისტიკას. არ შესრულდა. ³⁴
1.1.ბ: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის რეგულარული მონიტორინგის და შეფასების სისტემის არსებობა ბაზისი: არ არსებობს მიზანი: ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არსებობა და ყოველწლიური მონიტორინგი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	არ შესრულდა. აღნიშნული ინდიკატორი 2018 წელს არ შესრულებულა, თუმცა ორივე უწყებაში მიმდინარეობს სისტემის დანერგვაზე მუშაობა.
1.1.გ: უსაფრთხოების სექტორში (სამოქალაქო და შეიარაღებულ ძალებში) სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების არსებობა და ხელმისაწვდომობა ბაზისი: არ არსებობს მიზანი: სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემთა ანალიზის სისტემის შექმნა და მონაცემთა პროცენტული მაჩვენებლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	100%-ით შესრულდა. დანერგილია მონაცემთა მართვის ახალი სისტემა, რომელიც სეგრეგაციას და სტატისტიკური ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. არ შესრულდა.

33. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი №MOD 0 19 00570950; 06.06.2019.

34. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი №MIA 6 19 01128991; 03.05.2019.

1.1.დ: გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული რაოდენობა, კაცებთან თანაფარდობით ბაზისი: თავდაცვის სამინისტრო - 32%; შინაგან საქმეთა სამინისტრო - 3% მიზანი: მონაცემების სულ მცირე შენარჩუნება	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	არ შესრულდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში ხელმძღვანელ პოზიციაზე ქალები 23% -ს წარმოადგენენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თავდაცვის სამინისტროში არსებული ბაზისის პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია. ³⁵
	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	100%-ით შესრულდა. ³⁶ შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული რაოდენობა, კაცებთან თანაფარდობით, 4%-ით გაიზარდა და 7%-ს უტოლდება.
1.2.ა: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებსა და ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმში მონაწილე ქალთა პროცენტული მაჩვენებელი ბაზისი: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში 2017 წელს - 40% ქალი; ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმში - 33% ქალი მიზანი: 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	არ შესრულდა. ³⁷ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი 30%-ს შეადგენდა, დელეგაციის 12 წევრიდან 2 იყო ქალი.
1.2.ბ: გადამზადებული ქალების რაოდენობა ბაზისი: 20 მიზანი: 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელია	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	100%-ით შესრულდა. ³⁸ 2018 წელს სამოქალაქო ოფისის ქალი წარმომადგენლების 49% საქართველოში გადამზადდა, ხოლო 49% საზღვარგარეთ. ხოლო 2019 წელს საქართველოში გადამზადდა 8%, საზღვარგარეთ - 25%. 2018 წელს ქალი სამხედრო მოსამსახურეების 1% გადამზადდა საზღვარგარეთ, ხოლო 2019 წელს -4%.
1.3.ა: ქალთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის ინიციატივების პროცენტული მაჩვენებელი ბაზისი: 2017 წელი - 20% მიზანი: 2020 წელს 20%-იანი ზრდა	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	ნაწილობრივ შესრულდა. ³⁹ 2018 წლის განმავლობაში თანხმობა გაიცა 66 პროექტზე, აქედან 8 პროექტი ეხებოდა ქალთა საკითხებს ან ქალთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებულს (5%-იანი ზრდა).

35. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი №MOD 0 19 00570950; 06.06.2019.

36. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი №MOD 0 19 00570950; 06.06.2019.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი №MIA 6 19 01128991; 03.05.2019.

37. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი №01/21159; 24.05.2019.

38. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი №MOD 0 19 00570950; 06.06.2019.

39. საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი №949; 07.05.2019.

2.1.ა: ქალებთან, ახალგაზრდებთან და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების გეოგრაფიული არეალი და რაოდენობა, რომლებიც მათი პოლიტიკის შემუშავებისა და მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვის პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს ბაზისი: არ არსებობს მიზანი: წლის განმავლობაში მინიმუმ სამი შეხვედრა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	100%-ით შესრულდა. 2018 წელს გაიმართა მრავალი შეხვედრა, დევნილთა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობით. ⁴⁰
2.1.ბ: პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნობრივ პროგრამებში ქალებისა და გოგონების მიერ დასმული პრიორიტეტული საკითხების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი ბაზისი: განისაზღვრება 2018 წ.-ს მიზანი: განისაზღვრება 2018 წ.-ს	გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია	არ შესრულდა. იგეგმება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისათვის შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის, ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად რეგულარული დიალოგის მექანიზმის შექმნა. ⁴¹
2.2.ა: მოლაპარაკებების პროცესში, შეხვედრების ფორმატის და მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქალთა პრიორიტეტების და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს	ინდიკატორის შესრულების გაზომვა შეუძლებელია. გაიმართა არაერთი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო და ხელისუფლების წარმომადგენლები, თუმცა ქალთა პრიორიტეტების რეკომენდაციების გათვალისწინების % მაჩვენებელი 2018 წლის მონაცემით არ მოგვეწოდა. ⁴²
არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი ბაზისი: 2017 წელი - 70% მიზანი: 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი წყარო: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	სახელმწიფო მინისტრის აპარატი	

40. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი № 01/8142; 07.05.2019.

41. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი №01/2910; 14.06.2019.

42. საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი №949; 07.05.2019.

3.1.ა: დაკავებული ქალების რაოდენობა და თანაფარდობა კაცებთან გამყოფი ხაზის ე.წ. „უკანონო“ კვეთისას ბაზისი: განისაზღვრება 2018 წ.-ს მიზანი: განისაზღვრება 2018 წ.-ს	სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	2018 წელს ე.წ. „საზღვრის კვეთის“ ბრალდებით, ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით უკანონოდ დაკავებული პირების დაახლოებით 19% ქალები იყვნენ, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, დაახლოებით - 3.5%. ⁴³ დაკავებულების რაოდენობის ცდომილება დაახლოებით 5-10%-ის ფარგლებში მერყეობს.
3.1.ბ: გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების არსებობა ბაზისი: არ არსებობს მიზანი: გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების არსებობა წყარო: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	არ შესრულდა. ⁴⁴
3.2.ა: სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირების საკითხებზე გადამზადებული უსაფრთხოების სექტორის, სპეციალური ქვედანაყოფების (მათ შორის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, კრიმინალური პოლიცია), სამშვიდობო ძალების მოსამსახურეების და იურიდიული დახმარების სამსახურის პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი ბაზისი: განისაზღვრება 2018 წ.-ს მიზანი: განისაზღვრება 2018 წ.-ს	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	100%-ით შესრულდა. ⁴⁵ ინდიკატორის შესრულების გაზომვა შეუძლებელია. ⁴⁶ მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს თანამშრომლების გადამზადება, თუმცა % მაჩვენებელი უცნობია.
3.2.ბ: სამხედრო დანაყოფებსა და სამშვიდობო ოპერაციებში გენდერული მრჩევლების რაოდენობა ბაზისი: განისაზღვრება 2018 წ.-ს მიზანი: განისაზღვრება 2018 წ.-ს	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	ინდიკატორის შესრულების გაზომვა შეუძლებელია. გაიწერა გენდერის მრჩევლის ფუნქციები, შესაძლოა, თითოეული ბრიგადის დონის ქვედანაყოფში მუდმივად იყოს გენდერის 2 მრჩეველი. მიმდინარეობს მათთვის სატრენინგო მოდულის შემუშავება და გენდერის მრჩევლების გადამზადების შემდეგ შესაძლებელი იქნება ზუსტი მონაცემების მოწოდება. ⁴⁷

43. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი №SSG 7 19 00080093; 04.05.2019. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით გამოვლენილი უკანონო დაკავების რაოდენობა რეალური ჯამური რიცხვის 10-15%-ს შეადგენს, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგისტრირებული უკანონო დაკავებების რაოდენობის ცდომილება დაახლოებით 5-10%-ის ფარგლებში მერყეობს.

44. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი №MIA 6 19 01424848; 01.06.2019.

45. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი №MIA 2 19 01866817; 16.07.2019. 2018 წლიდან დღემდე სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შესაბამის რეაგირებაზე, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციისა და რელევანტური სახელმწიფო უწყების მხარდაჭერით გადამზადება გაიარა 1200-მდე პოლიციელმა, რაც შს სამინისტროს თანამშრომელთა სრული რაოდენობის დაახლოებით 7%-ია (ინფორმაცია არ მოიცავს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მოსამსახურეების მონაცემებს).

46. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი №MOD 0 19 00570950; 06.06.2019.

47. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი №MOD 0 19 00570950; 06.06.2019.

3.2.გ: კონფლიქტთან დაკავშირებული გენდერული ძალადობის და სექსუალური ძალადობის პრევენციის დოკუმენტებისა და პოლიტიკის ინტეგრირება ოპერაციებში ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	100%-ით შესრულდა. სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების კურსის გავლა სავალდებულო გახდა ყველა თანამშრომლისთვის. ასევე დაინერგა ელექტრონული კურსი „გენდერული პერსპექტივების ინტეგრაცია ოპერატიული ეფექტურობის გაუმჯობესებისათვის“. აღნიშნული კურსი სავალდებულო იქნება მისიაში გადასროლილი ქვედანაყოფის სამხედრო მოსამსახურეებისთვისა და სხვა ოფიცრებისთვის. ⁴⁸
3.2.დ: სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე გადაწყვეტილებების აღსრულების პროცენტული რაოდენობა ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	ნაწილობრივ შესრულდა. სამხედრო სადისციპლინო წესდებას დაემატა შესაბამისი მუხლი, რომლის თანახმად სექსუალური შევიწროება ითვლება დისციპლინარულ გადაცდომად. მიმდინარეობს მუშაობა დისკრიმინაციის ფაქტების გასაჩივრების მექანიზმების სახელმძღვანელოზე. ⁴⁹
4.1.ა: ქალთა პროცენტული რაოდენობის ზრდა (კაცებთან თანაფარდობით), რომლებმაც ისარგებლეს სახელმწიფო უფასო იურიდიული მომსახურებით ბაზისი: 2017 წელს იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება გაენია 1276 დევნილს - საერთო კონსულტაციების და საქმეების 5%. ქალი - 676 კაცი, 600 ქალი. მიზანი: 2020 წლისათვის მაჩვენებლის ზრდა 10%-ით (ქალი 6%; კაცი 4%)	იურიდიული დახმარების სამსახური	100%-ით შესრულდა. ⁵⁰
4.2.ა: სახელმწიფო სერვისებით მოსარგებლე ქალების პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით. ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ინდიკატორის შესრულების გაზომვა შეუძლებელია. მოეწყო შეხვედრები და დისკუსიები სხვადასხვა რეგიონში ფოკუს ჯგუფებთან, თუმცა სახელმწიფო სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა ჩვენთვის უცნობია. ⁵¹

48. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი №MOD 0 19 00570950; 06.06.2019.

49. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი №MOD 0 19 00570950; 06.06.2019.

50. იურიდიული დახმარების სამსახურის წერილი №LA 6 19 00011797; 03.05.2019.

51. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/8142; 07.05.2019. შეხვედრა სამინისტროში დევნილთა საკითხებზე პასუხისმგებელ პირთან 24.05.2019.

4.2.ბ: გაწეული სერვისების მოცულობა და გეოგრაფიული არეალი ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ნაწილობრივ შესრულდა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას, ჯანდაცვის სერვისების შესახებ, ინფორმაცია მიაწოდა სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალმა. 2018 წელს მომზადდა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიმოხილვა აფხაზურ და ოსურ ენებზე და გადაეცათ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ⁵²
4.2.გ: სოციალური და ჯანდაცვის სერვისებზე ინფორმირებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების პროცენტული მაჩვენებელი ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია	ნაწილობრივ შესრულდა მიუხედავად განხორციელებული შეხვედრებისა სერვისებზე ინფორმირებული ქალებისა და გოგოების % მაჩვენებელი უცნობია. ⁵³
5.1.ა: იმ დევნილი ქალებისა და გოგოების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ პროფესიული განათლების, გადამზადებისა და მეწარმეობის განვითარების პროგრამებით ბაზისი: პოლიტიკის არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით მიზანი: მინიმუმ 40%	გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია	ნაწილობრივ შესრულდა. ⁵⁴

52. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/8142; 07.05.2019.

53. შეხვედრა სამინისტროში დევნილთა საკითხებზე პასუხისმგებელ პირთან 24.05.2019.

54. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი №MES 1 19 00548870; 10.05.2019.

5.1.ბ: ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის პროგრამებში დევნილი ქალებისა და გოგოების ჩართულობის პროცენტული რაოდენობა ბაზისი: 40% მიზანი: საბაზისო 40% პროცენტის სულ მცირე შენარჩუნება	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	100%-ით შესრულდა. დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით, სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ განახორციელა თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამა. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს გადაეცათ სახელობო იარაღები თავიანთი პროფესიების შესაბამისად. სულ სააგენტოში შემოვიდა 80 პროექტი (40 ქალი დევნილის პროექტი), მათგან დაფინანსდა 44 პროექტი, მათ შორის იყო 19 პროექტი და შესაბამისად 43% - დევნილი ქალის მიერ წარმოდგენილი. ⁵⁵
5.1.გ: ეკონომიკურ/ სოფლის მეურნეობის საგრანტო პროგრამებსა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებში ჩართული კონფლიქტით შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ნაწილობრივ შესრულდა. სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებში ჩართული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა შეადგენს ქალების შემთხვევაში - დამსწრეთა/მონაწილეთა 2%-ს, ხოლო ახალგაზრდების შემთხვევაში - 6%-ს. ⁵⁶ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მიმდინარე პროექტებში/პროგრამებში 2018 წელს მონაწილეობა მიიღო 128 კონფლიქტის შედეგად დაზარალებულმა ქალმა. ⁵⁷
5.1.დ: გარემოს დაცვის საკითხების განხილვის პროცესში ქალთა ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	არ შესრულდა. საანგარიშო პერიოდში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ჯგუფს დაინტერესება არ გამოუხატავს. რაც შეეხება ჩატარებულ განხილვებს, მათში მონაწილე დევნილი პირების იდენტიფიცირება არ ხდება. ⁵⁸

55. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/8142; 07.05.2019.

56. საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ანარმოვ საქართველოში“, წერილი №EG-04/611; 10.05.2019. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს წერილი №02/258; 6.05.2019. არასამთავრობო ორგანიზაციის, „ინოვაციური განათლების ფონდი“, მიერ ორგანიზებული ტრენინგები ვებპროგრამირებისა და სოციალური მედიაარკიტექტურის მიმართულებით. 4 მონაწილე ქალი; ტრენინგი - „კომპიუტერული ტექნოლოგიების საწყისები“ - სულ 11 მონაწილე, მათ შორის 6 ქალი, 5 - მამაკაცი.

57. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი №4694/01; 08.05.2019.

58. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი №4694/01; 08.05.2019.

5.2.ა: დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, ვინც კულტურული და სპორტული პროგრამებით ისარგებლა ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ნაწილობრივ შესრულდა. 2018-2019 წლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და გოგონებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ჩართულიყვნენ სხვადასხვა ოლიმპიადებში და მოენახულებინათ მუზეუმები. საქართველოს სასკოლო ოლიმპიადებში 2018-2019 წლის 6 თვის მონაცემით, მონაწილეობა მიიღო 62870 ბიჭმა და 34142 გოგომ. ⁵⁹ ხოლო სპორტული პროგრამებით 2018 წელს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების 18%-მა ისარგებლა. ⁶⁰
6.1.ა: თბილისსა და რეგიონებში უწყებათაშორისი კომისიის რეგულარული შეხვედრების ოქმების არსებობა ბაზისი: არ არსებობს მიზანი: ოქმების არსებობა	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია	ნაწილობრივ შესრულდა. გეგმის შესრულების საანგარიშო პერიოდში გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, თუმცა რეგულარული ხასიათი არ ჰქონია. ⁶¹
6.1.ბ: ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის არსებობა და გასაჯაროება (ექვს თვეში ერთხელ) ბაზისი: არ არსებობს მიზანი: საჯარო მონიტორინგის ანგარიშის არსებობა	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია	არ შესრულდა. 2019 წელს დაიგეგმა ანგარიშის გასაჯაროება ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ⁶²
6.1.გ: ეროვნული სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის არსებობა და გასაჯაროება ბაზისი: არ არსებობს მიზანი: საჯარო წლიური ანგარიშის არსებობა	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია	არ შესრულდა. ანგარიშის მომზადება და პარლამენტში წარდგენა დაგეგმილი იყო 2019 წლის ივნისში. ⁶³

59. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი №MES 1 19 00548870; 10.05.2019.

60. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი №MES 1 19 00548870; 10.05.2019.

61. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი №GOV 6 19 00021575; 28.05.2019.

62. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი №GOV 6 19 00021575; 28.05.2019.

63. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი №GOV 6 19 00021575; 28.05.2019.

4. რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- შექმნას უწყებაში სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემა, გენდერულად თანასწორი საკადრო პოლიტიკის დასაგეგმად და განსახორციელებლად
- შეიმუშაოს და დანერგოს ტრენინგების ეფექტიანობის შედეგების გაზომვის მექანიზმი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს:

- შეიმუშაოს შესაბამისი სასწავლო პროგრამები ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის ხელშესაწყობად
- გამართოს რეგულარული შეხვედრები უსაფრთხოების სექტორის უწყებებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უწყებაში გამოიყოს კონკრეტული პირი, რომელიც იმუშავებს გენდერული თანასწორობის მიმართულებით და შეიმუშავებს პრიორიტეტებს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების მიმართულებით
- მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემამ განსაკუთრებული ყურადღება მიმართოს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისადმი, კერძოდ, უწყებამ შეისწავლოს ჯანდაცვის და სოციალურ სერვისებზე მისაწვდომობის ბარიერები და გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ამ ბარიერების აღმოსაფხვრელად
- შეიმუშაოს პროფილური ჯანდაცვის პროგრამა კონფლიქტით დაზარალებული გოგოებისა და ქალების საჭიროებების გათვალისწინებით
- მოახდინოს ე.წ. „გამყოფი ხაზის“ მიმდებარე სოფლებში არსებულ ამბულატორიებში არსებული ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების საჭიროებების შეფასება

- შეიმუშაოს რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ორიენტირებული პოლიტიკა და შესაბამისი პროგრამები, რაც გულისხმობს ექიმების გადამზადებას და უწყვეტ ცნობიერების ამაღლებას ქალებში
- უზრუნველყოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების წვდომა ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისებზე

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს სამშვიდობო მოლაპარაკებების ყველა დონეზე ქალების, მათ შორის, კონფლიქტით დაზარალებული ქალების მონაწილეობა.
- გამართოს რეგულარული შეხვედრები დევნილ და ე.წ. „გამყოფი ხაზის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალებთან, ინფორმაციის მისაწოდებლად და მათი საჭიროებების შესასწავლად

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას:

- მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის ჩაატაროს მიზნობრივი ტრენინგები
- ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის კომუნიკაციას და კოორდინირებულ მუშაობას
- შეიმუშაოს სექსუალური ძალადობის მსხვერპლ, კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა რეაბილიტაციის სპეციალური, ამ სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული კონცეფცია
- კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროების განსაზღვრის მიზნით, გამართოს შეხვედრები ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს:

- უზრუნველყოს ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა.

იურიდიული დახმარების სამსახურს:

- სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდში შეარჩიოს და განახორციელოს უფასო იურიდიული კონსულტაციები იმ დევნილთა დასახლებებსა და ე.წ. „გამყოფი ხაზის“ მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც უწყების მხრიდან 2018 და 2019 წლის განმავლობაში შეხვედრები არ გამართულა.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს:

- რეგულარულად მართონ შეხვედრები დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან, ახალგაზრდებთან და ხანდაზმულებთან
- უზრუნველყონ რეგულარული კომუნიკაცია ეროვნული სამოქმედო გეგმის განმახორციელებელ უწყებებთან
- დევნილთა დასახლებებსა და ე.წ. „გამყოფი ხაზის“ მიმდებარე სოფლებში გამართონ საინფორმაციო შეხვედრები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დაცვისა და დახმარების არსებულ სერვისებზე.

